ტექნიკური დავალება

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელი კახარეთის ტერიტორიაზე, კახარეთი ჰესის სადერევაციო არხის გაწმენდა და პროფილირება.

1. არსებული სიტუაციის აღწერა:

არხი 5 კმ სიგრძისაა და მდებარეობს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ კახართის ტერიტორიაზე მდებარე ჰესიდან, დაბა ადიგენის ტერიოტრიაზე, მდ. ქვაბლიანზე არსებულ სათავემდე. (სკ 61.00.013)

სარეაბლიტაციო მონაკვთები ძირითადად რკ.ბეტონის ფილებით მოპირკეთებულია, ასევე გვხდება ქვაწყობის ან გრუნტის არხი, რომელსაც ფაქტიურად მთლიან მონაკვეთზე დარღვეული აქვს ერთგვაროვნება, ფერდებზე დაწყებულია ეროზიული პროცესები.

გასაწმენდია მთლიანი არხი, სარეაბილიტაციო მონაკვთი კი შეადგანს დაახლოებით 2070 მეტრს.

2. ჩასატარებელი სამუშაოების შინაარსი:

უნდა მოხდეს არხის კალაპოტის მთლიანად ნაგვისგან გაწმენდა და გატანა.

სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე(ჰკ-5+36 - ჰკ 6+25; ჰკ-6+25 - ჰკ 7+60; ჰკ-9+00 - ჰკ 13+95; ჰკ 14+05 - ჰკ 20+50; ჰკ 22+15 - ჰკ 25-00; ჰკ 25+00 - ჰკ 27-34; ჰკ 27+59 - ჰკ 27-99; ჰკ 28+46 - ჰკ 28+81; ჰკ 38+30 - ჰკ 38+90; ჰკ 41+30 - ჰკ 41+80) რომელიც დაახლოებით შეადგენ 2070 მეტრს, უნდა ჩამოიჭრას ეროზირებული ფერდობები, ვარგისი გრუნტისგან უკუჩაყრა მოხდეს 40 სმ ფენებად დატკეპვნით.

უნდა მოხდეს არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟი და გატანა, მუშა მდგომარეობის ფილების (დამკვეთთან შეთანხმებით) კი უკან დამონტაჟება ან ადგილზე დასაწყობება.

არხის გრძივი პროფილი არის დაბალ ქანობიანი, საშუალოდ 0,04 %. არხზე ასევე მოწყობილია რკ/ბეტონის 4 აკვედუკი, რომელთა მყარ ნიშნულებს შორის უნდა მოხდეს არხის ნიველირება.

სარეაბილიტაციო მონაკვეთის, ცალკეულ უბნებზე, არხის გასწვრივ უნდა მოხდეს საექსპლუტაციო გზის მოხრეშვა. დაახლოებით 250მ.

არხის კვეთი უნდა შესრულდეს სქემა 1-ში მოცემული ზომების მიხედვით.

სქემა 1.



შენიშვნა:

აუცილებელია, პრედენდეტი განაცხადის გაკეთებამდე, ადგილზე გაეცნოს ობიექტს.

შემსრულებლემა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ არხს ესაზღვრება კერძო მესაკუთრეების ნაკვეთები.